ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი შიხიაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს და ქ.თბილისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ქ.თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის, მუდმივმოქმედი კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებს "ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით.

დანართი: 25 ფურცელი

პატივისცემით,

ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ნინო თევდორაძე.

26

04/10141 22.11.15

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

2014 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 720 მლნ ლარით, რაც 20 მლნ-ით ნაკლებია 2013 წლის ნოემბერში დამტკიცებულ ბიუჯეტის მოცულობაზე , მაგრამ 80 მლნ-ით მეტია 2013 წლის დასაწყისში დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით. წლის დასაწყისისათვის 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 640 მლნ ლარს.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტი, შემოსავლების ნაწილში გაზრდილია ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლებით და შეადგენს 163 500.0 ათას ლარს.

იზრდება სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოსაკრებელი 4 მლნ ლარით და განისაზღვრება 38 მლნ. ლარით, ასევე იზრდება მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის. წლის დასაწყისში დამტკიცებულ 2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2014 წელს, ასევე დაგეგმილია 5 000,0 ლარით მეტი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები(15 მლნ ლარი).

2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა 49 916,0 ათ. ლარით და შეადგენს 397 700,0 ათ. ლარს.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს- ძირითად მიმართულებად, რაც 2014 წლის ბიუჯეტის პროექტითაა განსაზღვრული, არის შშმ პირებზე ადაპტირებული და ეკოლოგიურად უსაფრთხო ავტობუსების შესყიდვა, ავარიული შენობების გამაგრება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება და გაფართოება, დასუფთავების ღონისძიებები, ოლიმპიური ფესტივალის ღონისძიებები, კომუნალური ვაუჩერით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება, თბილისის ტერიტორიაზე ისტორული და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრების განხორციელება და პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა.

2014 წლის პროექტით გზების მშენებლობა და აღდგენისათვის – განსაზღვრულია 30 მლნ ლარი. ტრანსპორტის განვითარების პროგრამებიდან - იზრდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების მოწესრიგების პროგრამა 3 050,0 ათ. ლარით. პროგრამისათვის გამოყოფილია 38,9 მლნ ლარი. პროგრამაში გათვალისწინებულია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (ავტობუსების) შეძენა.

შემცირებულია სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია 3 მლნ ლარით და შეადგენს 3.4 მლნ ლარს. ასევე შემცირებულია საბაგირო ტრანსპორტის განვითარების პროგრამა 3 მლნ ლარით და შეადგენს 4 მლნ ლარს.

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა აღდგენა-რეკონსტრუქცია შემცირებულია 56 607,5 ლარით და შეადგენს 18მლნ 500 ათას ლარს. ასევე მცირდება კეთილმოწყობის ღონისძიებები 20 მლნ 266,1 ათ.

ლარით და განსაზღვრულია 24 მლნ 200 ათასი ლარი. აქედან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კეთილმოწყობა, გათვალისწინებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამაში, აღნიშნული პროგრამა 2013 წელთან შედარებით იზრდება 21 მლნ 586,0 ათ. ლარით და შეადგენს 70 მლნ ლარს.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პროგრამაში ცალკე გამოიყოფა ქალაქის განვითარების ხელშეწყობა ორგანიზაციული კოდით 2.10. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრების სამუშაოები, რასაც განახორციელებს ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი". პროგრამაში გათვალისწინებულია 25 მლნ ლარი.

გაზრდილია წინა წელთან შედარებით ავარიული შენობების გამაგრების პროგრამა 16 მლნ ლარით და შეადგენს 25 მლნ ლარს. იზრდება ასევე დასუფთავების ღონისძიებები 9 700,0 ლარით და შეადგენს 48 მლნ ლარს.

2013 წელთან შედარებით იზრდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა 6 მლნ 988,2 ლარით და პროგრამისათვის გასაზღვრულია 34 მლნ ლარი.

ასევე იზრდება ტრანსპორტით გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება 6 300,0 ათ. ლარით, ხოლო წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რ-ში, იზრდება 700,0 ათ. ლარით.

სოციალურ პროგრამებს ემატება ახალი პროგრამა – "უსახლკაროთა თავშესაფარი" 300,0 ლარით, პროგრამა ითვალისწინებს უსახლკაროების ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფას და ერთჯერად კვებას.

2013 წელთან შედარებით, გაზრდილია სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია 2 500,0 ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 700,0 ათ. ლარით. მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა 783,0 ათ. ლარით.

შემცირებულია სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 2 485,4 ათ. ლარით.

2014 წლის პროექტს თანდართული აქვს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დამატებითი ტრანსფერის შემთხვევაში დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად.

კომისიაში წარმოდგენილი იქნა მუდმივმოქმედი კომისიებისა და ფრაქციების დასკვნები 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. კომისიამ იმსჯელა მათ მიერ წარმოდგენილ წინადადებებსა და შენიშვნებთან დაკავშირებით. ასევე განხილული იქნა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, საკრებულოში შემოსული წერილების შესაბამისად კონკრეტული მოთხოვნები და მიზანშეწონილად მიიჩნია

დაუბრუნდეს ქ.თბილისის მერს "ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის" პროექტი შემდეგი წინადადებებითა და შენიშვნებით:

ავარიული შენობების გამაგრება (პროგრამული კოდი 2.2)- გაიზარდოს 10,0 მლნ ლარით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, რაიონებში დიდუბე, ჩუღურეთი, ისანი, კრწანისი, მთაწმინდა (პროგრამული კოდი 5.1.10,5.1.11,5.1.14,5.1.16,5.1.17) – გაიზარდოს 200-200 ათასი ლარით. სულ 1,0 მლნ ლარით.

დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია (პროგრამული კოდი 6.2.16) გაიზარდოს 498.0 ათასი ლარით.

სხვა სოციალური დახმარებების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 6.2.9) გაიზარდოს 3,0 მლნ ლარით.

ქ.თბილისში რუსთაველის გამზირზე ლადო ასათიანის ძეგლის დადგმისათვის გამოიყოს 150 000 ლარი.

დაფუძნდეს პროფესიული საკალადბურთო კლუბი "თბილისი" და მისი ბიუჯეტი განისაზღვროს 1.0 მლნ ლარით

აღნიშნულ პროგრამებში თანხების ცვლილება მოხდეს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში შიდა გადანაწილების ხარჯზე.

გაუქმდეს კერძო სამართლის (სამეწარმეო და არასამეწარმეო, არაკომერციული) იურიდიულ პირებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოების დაფინანსება ბიუჯეტის ხარჯების დაზოგვის მიზნით.

პროგრამაში "საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება", წარმოდგენილი იქნას დანართის სახით იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება არის გათვალისწინებული 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით.

წარმოდგენილი იქნას, მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებებით გათვალისწინებული ყველა ობიექტების ჩამონათვალი დანართის სახით.

ბიუჯეტში ცალკე იქნას გათვლისწინებული ქ.თბილისის მერიიდან და მასში შემავალი საწარმოებიდან, ასევე გამგეობებიდან , სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკანონოდ განთავისუფლებულთა საკომპენსაციო თანხები.

შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს გამწვანების ღონიოსძიებები, მათ შორის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებისათვის.

დაემატოს ქ.თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ეზოს კეთილმოწყობის ღონისძიებები.

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები შემოერთებულ ტერიტორიებზე დაფინანსდეს კეთილმოწყობის პროგრამებიდან. ღონისძიებები უნდა განახორციელოს ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ. წყალმომარაგების სისტემა აყვანილ იქნას , როგორც ადგილობრივი ქონება, რომელიც შემდეგ გარკვეული პირობებით ექსპლუატაციისათვის გადაეცემა GWP –ს.

ქ.თბილისის საკრებულო (პროგრამული კოდი 10.1) შესწორდეს დანართის შესაბამისად

ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ნინო ლევდორაძე

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიას

ქ. თბილისის საკრებულოს, 2011 წლის 25 თებერვლის № 2–14 გადაწყვეტილება ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 68-ე მუხლის შესაბამისად, გიგზავნით ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელები" –ს შენიშვნებს ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

1. შემოერთებული სოფლების წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებები გამგეობების ბიუჯეტში, რომელიც ჯამში შეადგენს დაახლოებით 15 მილიონს, არ არის ცალკე მუხლად გამოტანილი როგორც კეთილმოწყობის ღონისძიებები და ის შესულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების მუხლში, რაც არასწორად მიგვაჩნია.

რეკომენდაცია: წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები შემოერთებულ სოფლებში უნდა განხორციელდეს მერიის კეთილმოწყობის ღონისძიებების ფარგლებში. საქმიანობა უნდა განახორციელოს ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ და არა GWP –იმ, რომელზეც იგეგმება ზემოთ აღნიშნული თანხის გადარიცხვა სამუშაობების ჩასატარებლად. წყალმომარაგების სისტემა აყვანილი უნდა იქნას, როგორც ადგილობრივი ქონება და შემდეგ გარკვეული პირობებით გადაეცეს ექსპლუატაციისათვის იმ კომპანიას, რომელიც განახორციელებს წყლის მიწოდების სერვისს შემოერთებული სოფლების მაცხოვრებლებისათვის, (ამ შემთხვევაში GWP –ს).

2. ბიუჯეტში არ არის მუხლი, რომელიც გაითვალისწინებს მერიის ვალდებულების შესრულებას დაუმთავრებელი ბინათმშენებლობის მიმართულებით.

   შენიშვნა: აღნიშნული არ ეხება დაუმთავრებელ კოოპერატიულ ბინათმშენებლობებს, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.

3. განათლების მუხლში, სკოლამდელი აღზრდის ნაწილში, ჩვენი აზრით, ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს 8–10 მილიონით, რაც ხელს შეუწყობს საბავშვო ბაღების აღმზრდელების ორცვლიან რეჟიმზე გადასვლას, მათი ხელფასების გაზრდასა და სერვისის ხარისხის ამაღლებას.

ფრაქცია "ქართული ოცნება–თბილისელების" თავმჯდომარე:

გულიკო ზუმბაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლია რაოდენობა 1 ფურცელი
№ 04/10141 20.11.2013

ქ.თბილისის საკრებულოს ქონების
მართვის და საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის უფროსს ქალბატონ
ნინო თევდორაძეს

ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი (720 000,00 ათასი ლარი) 2013 წლის დამტკიცებულ (740 000,67 ათასი ლარი) ბიუჯეტთან შედარებით 20 000,67 ათასი ლარით ნაკლებია და მის 97,3% შეადგენს.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტში შემცირებულია წინა წელთან შედარებით ხარჯები შემდეგ პროგრამულ ღონისძიებებზე კერძოდ:

–სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენის მუხლით(კოდი–1) 23 215,41 ათასი ლარი (2014წ–108 900,0 ათსი ლარი, 2013წ–132 115,41 ათასი ლარი);

–ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრების მუხლი(კოდი–2) 37 598,60 ათასი ლარით (2014წ–119 000,0 ათასი ლარი, 2013წ–156 598,60 ათასი ლარი);

–ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მუხლი(კოდი–4) 1 926,70 ათასი ლარით (2014წ–5 301,30ათასი ლარი, 2013წ–7 228,0 ათასი ლარი);

–კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის ხარჯების მუხლით(კოდი–8) 469,0 ათასი ლარი(2014წ–35 373,50 ათასი ლარი, 2013წ–35 842,50ათასი ლარი);

–ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მუხლი(კოდი–10) 2 635,48 ათასი ლარით(2014წ–81 864,0ათასი ლარი,2013წ–84 499,48ათასი ლარი);

2014 წლის ბიუჯეტის პროექტში გაზრდილია წინა წელთან შედარებით ხარჯები შემდეგ პროგრამულ ღონისზიებებზე კერძოდ:

–ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების მუხლით(კოდი–3) 7 534,80 ათასი ლარი(2014წ–66 500,0ათასი ლარი,2013წ–58 965,20ათასი ლარი);

–ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების მუხლი(კოდი–5) 9 988.19 ათასი ლარით(2014წ–34 000,0 ათასი ლარი,2013წ–24 011,81ათასი ლარი);

–ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლი(კოდი–6) 5 366,82 ათასი ლარით(2014წ–170 522.20ათასი ლარი,2013წ–165 155,38ათასი ლარი);

–განათლების მუხლი(კოდი–7) 21 586,0ათასი ლარით(2014წ–75 350,00ათასი ლარი,2013წ–53 764,0ათასი ლარი);

–საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების მუხლი(კოდი–9) 1 368,70 ათასი ლარით(2014წ–23 189,00ათასი ლარი,2013წ–21 820,30ათასი ლარი).

2014 წლის ბიუჯეტის პროექტში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ხარჯები(კოდი–1.2.1) (38 900,0ათასი ლარი) წინა წელთან (2 013წ–35 850,0ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 3 050,0 ათასი ლარით, მაშინ როდესაც 2013წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან(17 050,0ათასი ლარი) მიმართებაში აღებული ვალდებულება შეადგენს 16%(2 731,0ათასი ლარი), ხოლო წლის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში – 7,6%.

ქ.თბილისის საკრებულოს აპარატი
ფურცლების რაოდენობა 2 ფურცელი

ასევე დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმებთან მიმართებაში ვალდებულების აღებისა და ხარჯის გაწევის დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება ბიუჯეტის ზოგიერთი მუხლი:

– მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯი 2014წ. პროექტით შეადგენს 800,00 ათას ლარს, რაც წინა წელთან (2013 წელი –500,00 ათასი ლარი) შედარებით 300,00 ათასი ლარით მეტია. 2013 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან (450,00 ათასი ლარი) მიმართებაში აღებულმა ვალდებულებამ (11,9 ათასი ლარი) შეადგინა 2,6%,ხოლო წლიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგინა 2,3%.

–თბილისი–საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში ხარჯი 2014წ. პროექტით შეადგენს 300,00 ათას ლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ პროგრამასთან შედარებით (2013 წელი – 576,5 ათასი ლარი) 200,00 ათასი ლარით ნაკლებია. 2013 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან (474,4 ათასი ლარი) მიმართებაში აღებულმა ვალდებულებამ (53,9 ათასი ლარი) შეადგინა 11,3%, ასევე წლიურ მაჩვენებელთან მიმართებაშიც შეადგინა 9,4%.

–მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობის ხარჯი 2014წ. პროექტით შეადგენს 1 300,00 ათას ლარს, რაც წინა წელთან (2013 წელი –1 500,00 ათასი ლარი) შედარებით 200,00 ათასი ლარით ნაკლებია. 2013 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან (900,00 ათასი ლარი) მიმართებაში აღებულმა ვალდებულებამ (70, 5 ათასი ლარი) შეადგინა 7,8%,ხოლო წლიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგინა 4,7%.

აუცილებელია შემუშავდეს წესი და დადგინდეს კრიტერიუმები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეთა წახალისების რეგულირების მიზნით, ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად გამოყენებისა და შესაძლო კორუფციული გარემოს აცილების მიზნით.

პატივისცემით,
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ქავთარაძე

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ **ნინო თევდორაძეს**

ქალბატონო ნინო,

წარმოგიდგენთ ქ. თბილისის საკრებულოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომისიის დასკვნას შემდეგ საკითხზე:

„ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"

გთხოვთ უზრუნველყოთ აღნიშნული დასკვნის ქ. თბილისის საკრებულოს ბიუროსათვის წარდგენა.

დანართი 1 ფურცელი

პატივისცემით,

საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის თავმჯდომარე **კახა გურული**

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

ფურცელთა რაოდენობა 2 ფურცელი

№ 04/10141 20.11.13 წ.

დასკვნა

ქ. თბილისის საკრებულოს საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ 2013 წლის 20 ნოემბერს გამართულ კომისიის სხდომაზე განიხილა შემდეგი საკითხი:

„ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"

კომისიამ იმსჯელა პროექტთან დაკავშირებით და ხმათა უმრავლესობით რეკომენდაციას უწევს აღნიშნულ საკითხს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

პატივისცემით,

საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის თავმჯდომარე

კახა გურული

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა
და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

იურიდიულ საკითხთა კომისიის

დასკვნა

,,ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს
გადაწყვეტილების პროექტზე (04/10141, 15.11.2013)

ქ. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ ა/წლის 20 ნოემბრის სხდომაზე განიხილა თბილისის მერის ინიციატივით წარმოდგენილი ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი ,,ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ".

გადაწყვეტილების პროექტის მიმართ კომისიას სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

დავით ჯინჭარაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია რაოდენობა / ფურცელი
04/10141 20.11.2013

ქ.თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ნ.თევდორაძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ ამა წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქ..თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილულ იქნა „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი (წერილის №04/10141).

კომისის სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში ეკონომიკური განვითარებისათვის 2013 წელს გამოყოფილი იყო 7228000 ლარი, ხოლო 2014 წლის პროექტით თანხა შემცირებულია 1926700 ლარით, ანუ განსაზღვრულია 5301300 ლარი.

კომისია ასკვნის: „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტი არ არის დამაკმაყოფილებელი.

ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა სრული უმრავლესობით ქ.თბილისის საკრებულოს კომისიებმა გადაწყვიტეს ეკონომიკური განვითარების განხრით უარყოფითად შეფასდეს „ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი.

პატივისცემით,
ქ.თბილისის საკრებულოს ეკონომიკური
განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის
კომისიის თავმჯდომარე

ზაზა დოლიძე

№04/10141 20 11 13

ქ.თბილისის საკრებულოს "ქონების მართვისა და საფინანსო – საბიუჯეტო" კომისიის

თავმჯდომარეს ნინო თევდორაძეს

აღნიშნული წერილით, გაცნობებთ, ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შენიშვნებს ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი გაწვეულ უნდა იქნას უკან, რიგი მიზეზების გამო, რომელთაგან მნიშვნელოვანს ამავე წერილში მოგახსენებთ.

მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტი ორიენტირებულია საარჩევნო ამოცანებზე. აბსოლუტურად მიუღებელია, როცა ამ ბიუჯეტის პირობებშიც შენარჩუნებულია სურვილი ცალკეულ შპს-ებში არსებული სამეთვალყურეო საბჭოების საბიუჯეტო დაფინანსებისა.

ბიუჯეტის პროექტი არ პასუხობს ჩვენი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს.

პროექტში არაფერია ნათქვამი უსახლკარო მოქალაქეებისთვის სახლების მშენებლობის, ჯანდაცვის კომპონენტის დაფინანსების გაზრდის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის შენობების რეკონსტრუქცია-აშენების შესახებ.

ამათან აბსოლუტურად მიუღებელია მუხლ სხვა ხარჯებში, ამ ოდენობის თანხების კონცენტრირება.

დასახელებული მიზეზების გამო ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ბიუჯეტის პროექტის რედაქტირება, რის გამოც აუცილებლად მიგვაჩნია ის დაუბრუნდეს თბილისის მთავრობას.

პატივისცემით

ქ.თბილისის საკრებულოს ფრაქცია

"ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს"

თავმჯდომარე - ზაზა გაბუნია

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია რაოდენობა -1- შესრულდეს

1204/10141 20.11.13

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა

და საფინანსო განყოფილების უფროსს ქ-ნ ნინო თევდორაძეს

ქალბატონო ნინო,

წარმოგიდგენთ ქ. თბილისის საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიის დასკვნას 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

ვინაიდან, 2014 წლიდან ძალაში შევა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსი, ამიტომ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

1. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მიხედვით ქ. თბილისის უბნის წარმომადგენლობითი ორგანო იქნება უბნის საბჭო, რომელიც აირჩევა თბილისის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. ამ საბჭოს ეყოლება თავმჯდომარე, რომლის საქმიანობა, კოდექსის მიხედვით, არის ანაზღაურებადი. ამიტომ, ბიუჯეტში გასათვალისწინებელია უბნის საბჭოს თავმჯდომარეების ხელფასები.
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის ავტორთაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, (რეგინული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო)უბნის საბჭოების აპარატი დაკომპლექტდება 3-5 ადამიანით, რომელთა ძირითადი ფუნქცია იქნება საჭოს მიერ გაცემული დავალებების შესრულება. აღნიშნული აპარატი იქნება ანაზღაურებადი.
   გასათვალისწინებელია მათი დაფინანსების საკითხი.
3. საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, უბნის საბჭოს წევრების შესაძლო ხარჯების (გადაადგილება, კომუნიკაცია და ა. შ) უზრუნველყოფა.

გვინდა შევნიშნოთ, რომ თვითმმართველობის რეფორმა და რეფორმიდან გამომდინარე ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს 2014 წლის ბიუჯეტში დამატებითი ცვლილებები.

დღეის მდგომარეობით აღნიშნულის პროგნოზირება რთულია.

პატივისცემით,

ადგილობრივი თვითმმართველობის

რეფორმების კომისიის თავმჯდომარე

მ. კაციტაძე

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსული რაოდენობა 1 ფურცელი

№ 04/10141 20.11.13

ბიუროს ბრძ.
20.11.13

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და
საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ქალბატონო ნინო,

ა/წ 20 ნოემბერს ჩატარდა ქ. თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგი: *„ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" გადაწყვეტილების პროექტი.*

პროექტში მოცემული მიმართულებების დეტალურად შესწავლის შემდეგ, კომისიის წევრებმა დაასკვნეს, რომ ცალკეული მიმართულებები საჭიროებს სრულყოფას, ხოლო ზოგიერთ პრიორიტეტულ საკითხს პროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს.

ყოველივე ზ/ა გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. 2.7 პუნქტში დეტალურად გაიშიფროს ქალაქგაფორმებითი ხარჯები, ასევე მოხდეს ხარჯების შემცირება და თანხა მოხმარდეს მხოლოდ საჯარო ღონისძიებებს და არა კულტურულ-გასართობს;

2. 6.2.12 პუნქტში მოცემულ ,,სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში" პროგრამისთვის გამოყოფილი იქნას 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი ოდენობის 1%. შედეგად, პროგრამის ფარგლებში უნდა აშენდეს მრავალბინიანი სოციალური საცხოვრისი და მოხდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების საბინაო პრობლემის მოგვარება;

3. ბიუჯეტით ცალკე უნდა იქნას გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა იმ პირთათვის, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქ. თბილისის მერიიდან და მასში შემავალი მუნიციპალური საწარმოებიდან, ასევე ქ. თბილისის საკრებულოდან და გამგეობებიდან უკანონოდ გათავისუფლებულებად და აღნიშნული დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით;

4. უნდა გაგრძელდეს პროექტი ,,ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე;

2
№04/10141 20.11.13

5. მერიაში შემავალ სამეთვალყურეო საბჭოებში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების შესახებ გრაფა გამოტანილი იქნას განცალკევებულად და მიეთითოს 0 ლარი;

6. ცალკე იქნას გამოტანილი ქუჩების აღმნიშვნელი აბრებისთვის გათვალისწინებული თანხა. ასევე გათვალისწინებული იქნას კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის (,,კოლხური კოშკი") რეკონსტრუქცია-აღდგენისთვის საჭირო თანხები;

7. დეტალურად იქნას გაშიფრული ,,სხვა ხარჯებით" დასათაურებული ყველა გრაფა;

8. 6.1. პუნქტში გათვალისწინებული იქნას თანხა იმ დაავადებათა დასაფინანსებლად, რომელთა მკურნალობასაც არ ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვა;

9. გათვალისწინებული იქნას უკვე პრივატიზებული და სადაო ობიექტების გამოსასყიდი, საკომპენსაციო თანხები.

გთხოვთ, დასკვნას მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით,

კახა კუკავა

ქ. თბილისის საკრებულოს
ადამიანის უფლებათა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების ძართვისა
და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თოდორაძეს

ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომა, დღის წესრიგის თანახმად განხილულ იქნა ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი"-ს შესახებ. კომისიამ ყურადღება გაამახვილა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე(2.9.1) რომელშიც ერიცხებიანდება სახელდებულ ქუჩებისათვის სამისამართო აბრების შეძენა და მონტაჟი. კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებისათვის 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 4.200.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის პროექტში კონკრეტულად არ არის გაწერილი სამისამართო აბრების შეძენა მონტაჟის ღონისძიებისათვის გამოსაყოფი თანხების ოდენობა, რაც დასაზუსტებელია.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით ერთჯერადი პროგრამის სახით "2014 წლის თბილისის ბიუჯეტი"-ს პროექტში უსდა დაემატოს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ეზოს კეთილმოწყობის ღონისძიებები, ვინაიდან გასასეირნებელი ეზოს არ არსებობა გაუსაძლის პირობებში ამყოფებს ფსიქიკურ ავადმყოფებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომისია ასკვნის, რომ წარმოდგენილი ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი"-ს შესახებ პროექტი დასაზუსტებელია და საჭიროებს შესწორებებს

პატივისცემით,

ქ. თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე ნ. ბაბუაშვილი

ნათელა მაჭავარიანი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია რაოდენობა 1 ფურცელი

№04/10141 20.11.13

ქალაქ თბილისის საკრებულოს

ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ქალაქ თბილის მთავრობის მიერ მოწონებული 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი ნაწილობრივ ასახავს თბილისელების წინაშე არსებულ პრობლემებს და მისი მოგვარების გზებს. საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომებზე სისტემატურად განხილული საკითხების გარდა მსურს დამატებით გამოვყო რამოდენიმე საკითხი რომელთაც აქამდე შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა:

1. თბილისისთვის ერთ–ერთი უმთავრესი პრობლემას ტრანსპორტით გადაადგილება წარმოადგენს. ამ მიმართულებით საჭიროა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, საგზაო სამუშაოების ჩატარება და მისი შესაბამისად ბიუჯეტში ასახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრდება
2. ასევე თბილისელებისთვის და თბილისის სტუმრებისათვის ერთ–ერთი პრობლემური საკითხია სველი წერტილების არარსებობა დედაქალაქში. (თუმცა ქალაქის მერიის მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის პირობებში შესაძლებელია ამ მიმართულებით საბიუჯეტო სახსრების დაზოგვაც).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული წინანდადებები.

პატივისცემით,

თბილისის საკრებულოს წევრი კონსტანტინე ~~ითნანაბმიშვილი~~

04/10141 20.11.13

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ქ. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის
კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

მოგახსენებთ, რომ ა/წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი (წერილის №04/10141; 15.11.13წ).

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია 70,0 მლნ ლარი. სხდომაზე განიხილეს კომისიის წევრის, ქალბატონ, გულო ზუმბაძის ინიციატივა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისათვის დამატებით გამოიყოს 10,0 მლნ ლარი, ბაგა-ბაღების გაფართოებისა და ჰედგოგთა მხარდაჭერისათვის, რათა მოხდეს პროგრამის სრულყოფილად განხორციელება. ასევე კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა ინიციატივა, რესთაველის გამზირზე, ლადო ასათიანის ძეგლის დადგმისათვის გამოიყოს 150 000 ლარი.

კომისიის წევრთა მხრიდან დანარჩენ საკითხებზე შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა და ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ დადებითად შეფასდეს ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ქ.თბილისის საკრებულოს
განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ განსეხლაძე

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
1

№04/10141 20.11.13

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ა/წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. მთავარი საკითხი იყო „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის" პროექტის განხილვა. „ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №2-14 გადაწყვეტილების 23-ე მუხლის, I პუნქტის, „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სხვა სოციალური დახმარების პროგრამა გაიზარდოს სამი მილიონი ლარით.

პატივისცემით,

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე *მაკა გვარამია*

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
დედანთან სწორია — 1 — ფურცელი
№04/1614 20.11.13ნ.

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ამა წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა, რომლის მთავარი საკითხი იყო ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი"-ს განხილვა. კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. წევრებმა აღნიშნეს, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობისათვი წარმოდგენილი პროექტით გამოყოფილია 15 190,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის- 500,0 ათასი ლარი, მათ შორის „თბილისი 2015" ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებებისთვის– 8 000.0 ათასი ლარი, მაგრამ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია ითხოვს შესაბამისი თანხების გათვალისწინებას აღნიშნული ღონისძიებების მაღალი დონეზე ორგანიზებისთვის და შემოდის წინადადებით, რომ დაფუძნდეს პროფესიულ საკალათბურთო კლუბი „თბილისი" და მისი ბიუჯეტი განისაზღვროს 1.0 მილიონი ლარით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე კომისია ასკვნის, რომ წარმოდგენილი პროექტი "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი"-ს შესახებ დასაზუსტებელია.

პატივისცემით

ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის
თავმჯდომარე

გ. ომანიძე

ქ. თბილისის საკრებულოს საბიუჯეტო ანგარიშებ
საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება
შემავალი რიგითობა 1 დოკუმენტი
2004/10141 20.11.14

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა
და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თევდორაძეს

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ ა/წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს კომისიების, მათ შორის გარემოს დაცვის კომისიის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი (წერილის №04/10141).

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების და გაუმჯობესებისთვის მთლიანად გამოყოფილია 66 500,0 ათასი ლარი (მათ შორის გამწვანების ღონისძიებებისთვის – 15 000,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებებისთვის – 48 000,0 ლარი და თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობისთვის – 3 500,0 ათასი ლარი). აღნიშნული მაჩვენებლები ქ. თბილისის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან შედარებით შემცირებულია, კერძოდ, ქ. თბილისის 2013 ბიუჯეტით გამწვანების ღონისძიებებზე გამოყოფილია 17 100,0 ლარი, რაც 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან შედარებით 2 100,0 ათასი ლარით მეტია; ასევე, 2013 წლის ბიუჯეტით თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობისთვის გამოყოფილია 3 565,2 ათასი ლარი, ხოლო “ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტში, აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილია 3 500,0 ათასი ლარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული პროექტის დაფინანსება შემცირებულია 65,2 ათასი ლარით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომისია ასკვნის, “ქ. თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ” წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტი ზოგადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში, საჭიროა გაიზარდოს გამწვანების ღონისძიებების, მათ შორის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება.

პატივისცემით,
ქ. თბილისის გარემოს დაცვის კომისიის
თავმჯდომარე

კ. ფირუაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია რიგითობა 1 შემოსული

№04/10141 20.11.135

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო თევდორაძეს

ურბანული დაგეგმარებისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

დასკვნა

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ა/წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქ. თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომა, რომლის მთავარი დღის წესრიგს წარმოადგენდა „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის" პროექტის განხილვა. „ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №2-14 გადაწყვეტილების 23-ე მუხლის, 1 პუნქტის, „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მე-12 მუხლის შემდეგი პუნქტები საჭიროებენ კორექტირებას. კერძოდ,

1) 1 პუნქტი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/აღდგენა- წარმოდგენილ იქნას პროექტით გათვალისწინებული იმ გზების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო და კაპიტალური სამუშაოების გატარებას;
2) 1.2.1. პუნქტი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის შეძენა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ეტაპზე დაჩქარებული წესით სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ვინაიდან შესყიდვა ეხება ქ. თბილისის 2013-2014 წლის ბიუჯეტს და ეს დაკავშირებულია საკმაოდ დიდ თანხებთან, მიგვაჩნია რომ უნდა შემუშავდეს გონივრული სატენდერო წინადადება, რომელიც ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობაზე, ეკონომიკის გაძლიერებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე იქნება ორიენტირებული.
3) 2.2. პუნქტი, ავარიული შენობების გამაგრება – დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. ამისათვის საჭიროა თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების დაცვას. შესაბამისად პროექტით გათვალისწინებული 25 000 000 ლარის ნაცვლად, მიზანშეწონილია მინიმუმ 35 000 000 ლარის გამოყოფა.

4) 2.8. პუნქტი მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაციის სამუშაოები – წარმოდგენილ იქნას პროექტით გათვალისწინებული იმ მიწისქვეშა გადასასვლელების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო და კაპიტალური სამუშაოების გატარებას;
5) 5 პუნქტი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – დედაქალაქის სპეციფიკურ რაიონებში (დიდუბე, კრწანისი, ჩუღურეთი, ისანი, მთაწმინდა), სადაც არის მრავალი ე.წ. იტალიური თუ ქალაქური ტიპის დასახლებები (დაბალ სართულიანი საცხოვრებელი ბინები) ბიუჯეტის შიდა გადანაწილების ხარჯზე თითოეულ რაიონებზე გამოიყოს დამატებით 200 000 ლარი.
6) 6.2.16 ; 6.2.16.7; 6.2.16.8; 6.2.16.9; 6.2.16.10; 6.2.16.11; 6.2.16.12; 6.2.16.13; 6.2.16.14; 6.2.16.15; 6.2.16.16. პუნქტი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია – ქ. თბილისში არის მრავალი მწვავედ ავარიული საცხოვრებელი სახლი, რომელიც საჭიროებს სასწრაფო გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას. შესაბამისად უნდა მოხდეს რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების აღრიცვხა, უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია) ამიტომ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული 2 502 000 ლარი უნდა გაიზარდოს 3 000 000 ლარამდე.

ასევე კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია დასუფთავების, გარეგანათებისა და ა.შ. სამსახურებში სამეთვალყურეო საბჭოების არსებობა, რომლისთვისაც ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 1 500 000-ზე მეტი ლარი. აღნიშნული თანხით შესაძლებელია დედაქალაქისთვის მრავალი სასიკეთო და უფრო მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია ასკვნის, რომ წარმოდგენილი „ქ. თბილისის 2014 ბიუჯეტის პროექტი“ საჭიროებს კორექტირებას.

პატივისცემით,

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე *ნიკოლოზ ხაჩირაშვილი*

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო თეედორაძეს

ქალბატონ ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია მიმდინარე წლის 15 ნოემბერს ქ.თბილისის მერის მიერ ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია №04/10141 წერილი- „ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი და ქ.თბილისის 2014-2017 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი საინფორმაციო დანართებთან ერთად", რომელშიც ქალაქ თბილისის საკრებულოს (პროგრამული კოდი 10.1) ბიუჯეტი შეადგენს 12 000.0 ათას ლარს. სადაც შეცდომით არის მომუშავეთა რიცხოვნობა ასახული და თანხები არასწორედ არის გადანაწილებული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ წარმოდგენილი დანართის შესაბამისად ჩაასწოროთ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი.

იხილეთ დანართი 1 ფურცლად.

პატივისცემით,

აპარატის უფროსი გიორგი ფიცხელაური

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლოვანი რაოდენობა 2 ფურცელი
№04/10141 22.11.14

10.1	**ქ. თბილისის საკრებულო**	**12 000,0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	**241**
2	ხარჯები	**11 703,6**
21	შრომის ანაზღაურება	**6 959,0**
22	საქონელი და მომსახურება	**4 678,6**
27	სოციალური უზრუნველყოფა	**30,0**
28	სხვა ხარჯები	**36,0**
31	არაფინანსური აქტივები	**296,4**